დეკანის ბრძანება № 11/2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ისრაელის მსოფლიო სამეცნიერო კონფერენცია 2015“-ში მონაწილე სტუდენტთა შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სტუდენთა შესარჩევად „ისრაელის მსოფლიო სამეცნიერო კონფერენცია 2015“-ში მონაწილეობისათვის.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ეკოლოგიის და ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 27 აპრილიდან 2015 წლის 5 მაისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების თარიღად განისაზღვროს 2015 წლის 6 მაისი.
4. კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნები:
   - მაღალი აკადემიური მოსწრება;
   - ასაკი 17-21 წლამდე (2015 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით)
5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს
   - სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
   - CV (ინგლისურ ენაზე);
   - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ სემესტრის და საბაკალავრო პროგრამის მითითებით;
   - ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
   - პირადობის მოწმობის ასლი.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

24.04.2015